



ტურიზმის სექტორის ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობა ევროპის ქვეყნებში

DOI:10.36962/ECS106/11-12/2024-55

ზურაბ გარაყანიძე

ეკონომიკის დოქტორი, დ. აღმაშენებლის ეროვნული თავდაცვის
აკადემიის ასოცირებული პროფესორი, თადარიგის პოლკოვნიკი;

ეკა გეგეშიძე

პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი, ბიზნესის და
ადმინისტრირების სკოლა, საქართველოს უნივერსიტეტი;

ნინო მაღრაძე

სტუ დოქტორანტი
nimaghradze@gmail.com

რეზიუმე

ტურიზმი უკვე ათწლეულებია, რაც გლობალური ეკონომიკის ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი სექტორია, რომელსაც მნიშვნელოვანი წვლილი აქვს სოციალური და ეკონომიკური პროგრესის უზრუნველსაყოფად. COVID-19 პანდემიამ სექტორი დროებით შეაფერხა, თუმცა აღდგენის პროცესმა დაადასტურა მისი მდგრადობა და ადაპტირების უნარი. 2023 წელს საერთაშორისო ტურიზმმა \$1.4 ტრილიონი აშშ დოლარის შემოსავლებს მიაღწია, რაც პანდემიამდელ დონესთან შედარებით 93%-ია, ხოლო 2024 წლის პროგნოზები კიდევ უფრო პოზიტიურია.

ტურიზმის ინდუსტრიის გრძელვადიანი განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება ფინანსურ რესურსებზე წვდომის უზრუნველყოფა, განსაკუთრებით მცირე და საშუალო ბიზნესისთვის. კაბინეტური მეთოდით, ლიტერატურის ნარატიული კვლევის საფუძველზე სტატისტიკური შესწავლილია რამდენიმე ევროპული ქვეყნის გამოცდილება, სადაც აღნიშნული პრობლემა წარმატებით გადაიჭრა ციფრული და ფინანსური ინიციატივების დახმარებით. მაგალითებში შედის ციფრული გადახდის სისტემების ინტეგრაცია (PayPal, Klarna, MobilPay), საბანკო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება ტურისტულ ზონებში და მიკროსაფინანსო ინსტრუმენტების დაწესება. აღნიშნულ პროცესში გადამწყვეტი როლი შეასრულა ევროკავშირის დაფინანსებამ და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერამ.

საკვანძო სიტყვები: ტურიზმი, ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობა, საერთაშორისო ვიზიტორები, ევროპის ქვეყნები, ციფრული გადახდების სისტემები

ძირითადი ტექსტი

ათწლეულების განმავლობაში ტურიზმი შეუჩერებლად იზრდებოდა და შესაბამისად გახდა ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი ეკონომიკური სექტორი მსოფლიოსათვის (UN Tourism 2019). თანამედროვე ტურიზმი მჭიდროდ არის დაკავშირებული არა მხოლოდ ეკონომიკურ, არამედ სოციალურ განვითარებასთან, სწორედ ამ ფაქტორების გათვალისწინებით ტურიზმი წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად მამოძრავებელს სოციალ-ეკონომიკური პროგრესისათვის (Gössling & Hall, 2019). ტურიზმის განვითარება განპირობებულია სხვადასხვა ფაქტორებით, მათ შორის ეკონომიკური სტრატეგიებით, მდგრადობისა და ტურიზმის პოლიტიკის განმსაზღვრელი

ჩარჩოებით, რომელთაგან თითოეული ხელს უწყობს გლობალური ტურიზმის განვითარებას (WTTC, 2022).

ტურიზმის სექტორს გლობალურ მშპ-ში მნიშვნელოვანი კონტრიბუცია აქვს, ასევე გლობალურ ეკონომიკურ პროცესებზე საგრძნობია რყევების მიმართ სექტორის გავლენაც (Dwyer & Forsyth, 2006). აღნიშნული კარგად გამოჩნდა COVID-19 პანდემიის პერიოდში, როდესაც ტურიზმის სექტორი ყველაზე მოწყვლადი აღმოჩნდა, თუმცა სწრაფად აღდგენის უნარი გამოავლინა პანდემიის დასრულების შემდგომ პერიოდში (Sigala, 2020). თუმცა, პანდემიის შემდგომ პერიოდში განსაკუთრებით გაიზარდა ვიზიტორების მხრიდან მოთხოვნა უკონტაქტო სერვისებზე, მაგალითად როგორიცაა ციფრული საფულებები და ონლაინ გადახდის სისტემები (UNWTO, 2023; European Payments Initiative, 2022).

2024 წლის პირველი კვარტლისათვის გლობალურად საერთაშორისო ტურისტების რაოდენობამ მიაღწია პანდემიამდელი დონის 97%-ს (UN Tourism, 2024). ევროპაში, აფრიკასა და ამერიკაში თითქმის სრულად აღდგა ტურისტული ნაკადები, რაც შეეხება ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებს, მათ ძირითად ნაწილში არც Covid 19 პანდემიის პერიოდში მომხდარა საზღვრების ჩაკეტვა და აღნიშნულ ქვეყნებში ტურისტული ნაკადები 22%-ითაც კი აჭარბებს 2019 წლის საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობას (UN Tourism 2023).

ტურიზმის აღდგენას უდიდესი ეკონომიკური გავლენა ჰქონდა მსოფლიო ეკონომიკაზე. 2023 წელს საერთაშორისო ტურიზმმა მიაღწია 1,4 ტრილიონი აშშ დოლარის შემოსავლებს, რაც 2019 წლის დონის დაახლოებით 93%-ს შეადგენს (WTTC, 2023). ზოგიერთმა რეგიონმა, როგორიცაა ახლო აღმოსავლეთი, შემოსავლების პანდემიამდელ დონესაც გადააჭარბა, მაშინ როცა ევროპის ქვეყნებმა პანდემიის შემდგომ პერიოდში \$660 მილიარდი გამოიმუშავა, რაც 7%-იან ზრდას ასახავს 2019 წელთან შედარებით (European Commission, 2023). მსოფლიო ტურიზმის აღდგენის დადებითი ტენდენციების მიუხედავად, გლობალური ტურისტული სექტორი კვლავ გამოწვევების წინაშე დგას. ფინანსურ რესურსებსა და ინფრასტრუქტურაზე ხელმისაწვდომობა, გეოპოლიტიკური დაძაბულობა და მუშახელის დეფიციტი კვლავ გავლენას ახდენს ინდუსტრიაზე გეოგრაფიული არეალების შესაბამისად (Morrison, 2018). საერთო ჯამში, UN Tourism-ის პროგნოზით 2024 წლის პერსპექტივა და აღდგენის დინამიკა ოპტიმისტურია და წლის ბოლომდე 2%-ით გადააჭარბებს პანდემიამდელ მაჩვენებლებს (Un Tourism, 2024).

ტურიზმის განვითარება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანასა და რეგიონში განსხვავებული მიდგომებით ხასიათდება, თუმცა სექტორის განვითარების ძირითადი ხელშემწყობი მექანიზმი თანამედროვე ტურიზმის ინდუსტრიისათვის არის ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობა და ფინანსური ოპერაციების სიმარტივე (WTTC, 2022; UN Tourism, 2019).

სხვადასხვა ევროპული ქვეყნის მაგალითზე ლიტერატურის მიზნობრივი - ნარატიული მიმოხილვის საფუძველზე შევისწავლეთ ფინანსურ რესურსებსა და ზოგადად, ფინანსურ ოპერაციებზე წვდომის გამოწვევები, მიდგომები სახელმწიფო ინსტიტუტების მხრიდან რაც ემსახურებოდა აღნიშნული გამოწვევების აღმოფხვრას (OECD, 2020; Gössling et al., 2016). აღნიშნულ სტატიაში განხილულია რამდენიმე ქვეყანა, სადაც ტურიზმის ინდუსტრია უკანასკნელ წლებში საგრძნობლად განვითარდა და სადაც ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის პრობლემა გარკვეული პროგრამებითა და ხელშემწყობი მექანიზმებით გაუმჯობესდა (European Commission, 2023), თუმცა პრობლემების გადაჭრის გზები განსხვავებულია ქვეყნების და რეგიონების მიხედვით, თუმცა ყველა გეოგრაფიული არეალისათვის აღნიშნული გამოწვევები მოგვარდა საჯარო, კერძო და საერთაშორისო/დონორი ორგანიზაციების ერთობლივი მიდგომებისა და ფინანსური რესურსების განაწილებით (World Bank, 2021; IMF, 2022).

ტურიზმში არსებული ფინანსური წვდომის პრობლემების მოგვარების მიზნით, ქვეყნებში ძირითადად დაინერგა:

1. ციფრული გადახდის სისტემები: ტრანზაქციების გამარტივება მობილური საფულებებისა და ელექტრონული გადახდის პლატფორმების მეშვეობით (OECD, 2021; Sigala, 2020).

2. მიკროსაფინანსო და საკრედიტო ხაზები: მცირე სესხებისა და კრედიტების გაცემა სპეციალურად ტურისტული ბიზნესისთვის (UNDP, 2021; IFC, 2020).

3. საბანკო ინფრასტრუქტურა: ტურისტულ ზონებში საბანკო ინფრასტრუქტურის (მაგ: ბანკომატები) ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა (European Central Bank, 2022).

4. მთავრობის ინიციატივები: ტურიზმთან დაკავშირებული ინვესტიციებისთვის ფინანსური მხარდაჭერისა და წახალისების შეთავაზება (WTTC, 2022).

5. ფინანსური წიგნიერების/კომპეტენციის პროგრამები: ბიზნესის მფლობელების განათლება/დატრენინგება ფინანსების მართვისა და სერვისებზე წვდომის შესახებ (World Bank, 2020; Morrison, 2018).

კვლევის საფუძველზე დადგინდა ევროპის ქვეყნები, სადაც ტურიზმის სექტორის ზრდის ერთ-ერთი მთავარი შემაფერხებელი ფაქტორი იყო ფინანსურ რესურსებზე წვდომა, ამასთანავე შეზღუდული საბანკო ინფრასტრუქტურა (European Commission, 2021; Gössling et al., 2016). მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას, რომ აღნიშნული სირთულეების დაძლევა უმეტესად ხელი ციფრული პროდუქტების დანერგვამ შეუწყო (OECD, 2021; UN Tourism, 2023).

ბულგარეთი

ბულგარეთში, განსაკუთრებით სოფლად და ნაკლებად განვითარებულ რეგიონებში, ტურისტული სექტორისათვის ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენდა (European Commission, 2021). ასევე, რეგიონებში არსებული შეზღუდული საბანკო ინფრასტრუქტურა ართულებდა ეფექტური ფინანსური ტრანზაქციების განხორციელებას როგორც ტურისტებისთვის, ასევე ადგილობრივ მენარმეებისთვის (OECD, 2020).

აღნიშნული გამოწვევები შემდეგი მიდგომებით გადაიჭრა:

1. ციფრული გადახდების განვითარება-შეზღუდული საბანკო ინფრასტრუქტურით გამოწვეული პრობლემების დასაძლევად, ბულგარეთმა წამოიწყო ციფრული გადახდის სისტემების გაუმჯობესების პროცესი მთელი ქვეყნის მასშტაბით (World Bank, 2020; European Payments Council, 2021). მობილური გადახდის სისტემის ინტეგრაციამ, როგორცაა ePay და PayPal - გადამწყვეტი როლი ითამაშა ფინანსური ტრანზაქციების გამარტივებაში როგორც ტურისტებისთვის, ასევე ადგილობრივი ბიზნესებისთვის (Sigala, 2020). ციფრული გადახდის სისტემის მასიური დანერგვა განსაკუთრებით წარმატებული აღმოჩნდა სასოფლო რეგიონებისთვის, სადაც ფიზიკური საბანკო ინფრასტრუქტურა მინიმალურად იყო განვითარებული (European Commission, 2023).

2. ევროკავშირის დაფინანსება - ქვეყანამ, ასევე გამოიყენა ევროკავშირის დაფინანსება ტურიზმის სექტორში ინფრასტრუქტურული გამოწვევების გადასაჭრელად, მათ შორის ფინანსურ სერვისებთან დაკავშირებითაც (European Commission, 2021; IMF, 2022). ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტების მეშვეობით ბულგარეთმა მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა სასოფლო ტურიზმის განვითარებისა და ადგილობრივი ბიზნესისთვის ფინანსური ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად (European Investment Bank, 2021). ამ პროექტების მეშვეობით მოხერხდა საბანკო ინფრასტრუქტურის განვითარება რეგიონებში, რითაც ბულგარეთმა უზრუნველყო ტურისტული ბიზნესის ზრდა და მდგრადობა რეგიონებში (UN Tourism, 2023).

რუმინეთი

რუმინეთში, განსაკუთრებით ნაკლებად განვითარებულ რეგიონებში, ტურიზმის სექტორი მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა ფინანსურ სერვისებზე შეზღუდული წვდომის თვალსაზრისით, რამაც გავლენა მოახდინა ტურიზმთან დაკავშირებული ტრანზაქციების ეფექტურობასა და ხელმისაწვდომობაზე და მწარმოებლებსა და ტურისტებს შეეზღუდათ ფინანსური ოპერაციების მართვა და შეუზღუდავად განხორციელება (European Commission, 2021; World Bank, 2020).

აღნიშნული გამოწვევები შემდეგი მიდგომებით გადაიჭრა:

1. ციფრული გადახდების ინტეგრაცია - რუმინეთმა მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა ციფრული გადახდის სისტემების დანერგვასა და ისეთი ელექტრონული კომერციის პლატფორმების პოპულარიზაციაში, როგორიცაა PayU და MobilPay, რამაც ხელი შეუწყო გამარტივებულ და უსაფრთხო ტრანზაქციებს, როგორც ტურისტებისთვის, ასევე ადგილობრივი ბიზნესებისთვის (OECD, 2021; European Payments Council, 2022). ციფრული გადახდების უწყვეტი მექანიზმის ამოქმედებით, რუმინეთმა გააძლიერა საკუთარი ტურიზმის სექტორის ფინანსური ინკლუზიურობა, რამაც საშუალება მისცა ბიზნესს ეფექტურად ემართა რესურსები (Sigala, 2020).

2. ევროკავშირის მხარდაჭერილი პროგრამები - რუმინეთმა ასევე გამოიყენა ევროკავშირის სახსრები ტურიზმის განვითარების პროექტების მხარდასაჭერად, განსაკუთრებით რეგიონებში ფინანსური სერვისებისა და ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად (European Investment Bank, 2021; IMF, 2022). პროექტები მოიცავდა ციფრული გადახდის სისტემის გაფართოებას და ფინანსური სერვისების გაუმჯობესებას, რამაც ხელი შეუწყო ტურიზმის ხელმისაწვდომობას მთელი ქვეყნის მასშტაბით (UNNTourism, 2023).

დასკვნის სახით, რუმინეთმა ციფრული გადახდის სისტემის ინტეგრირებით და ევროკავშირის დაფინანსების გამოყენებით, ეფექტურად გადაჭრა ფინანსური გამოწვევები ტურიზმის სექტორში (European Commission, 2023). ნაკლებად განვითარებულ რეგიონებში ციფრული პლატფორმების პოპულარიზაციამ, როგორიცაა PayU და MobilPay - მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ტრანზაქციების სიმარტივე როგორც ტურისტებისთვის, ასევე ადგილობრივი ბიზნესებისთვის. გარდა ამისა, ევროკავშირის მხარდაჭერის პროგრამებმა უზრუნველყო საჭირო ფინანსური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება მთელი ქვეყნის მასშტაბით ტურიზმის სექტორის გასაძლიერებლად (European Investment Bank, 2021).

სერბეთი

სერბეთში, სადაც საბანკო ინფრასტრუქტურა რეგიონებში შეზღუდულია, ფინანსური ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა, რამაც ხელი შეუშალა ადგილობრივ ტურისტული ბიზნესს ეფექტურად ემართა პროცესები და მომსახურებოდა საერთაშორისო და ადგილობრივ ვიზიტორებს (World Bank, 2021; European Commission, 2022). ზოგადად, ფინანსებზე შეზღუდულმა წვდომამ სერბეთის ტურიზმი საკმაოდ დააზარალა (OECD, 2021).

აღნიშნული გამოწვევები შემდეგი მიდგომებით გადაიჭრა:

1. მობილური გადახდების დანერგვა - პირველი რაც სერბეთმა დანერგა იყო მობილური გადახდის სისტემები, რაც აუცილებელი ინსტრუმენტი აღმოჩნდა ტურიზმის სექტორში ფინანსური ტრანზაქციებისათვის. მობილური გადახდის პლატფორმების დანერგვამ, როგორიცაა PayPal და MTS Money, საშუალება მისცა როგორც ტურისტებს, ასევე ადგილობრივ ბიზნესს, უფრო მარტივად განეხორციელებინათ ტრანზაქციები (European Payments Council, 2022). მობილური გადახდების სისტემის მასიურმა დანერგვამ არა მხოლოდ გაზარდა ფინანსური ხელმისაწვდომობა, არამედ ხელი შეუწყო ციფრული ფინანსური ინკლუზიის ზრდას ქვეყანაში (Sigala, 2020; UNWTO, 2023).

2. მთავრობის და ევროკავშირის დაფინანსება - სერბეთმა ასევე მიიღო ევროკავშირის მნიშვნელოვანი ფინანსური მხარდაჭერა ტურიზმის განვითარებისათვის, განსაკუთრებით განვითარების წინასწარი დახმარების ინსტრუმენტის (IPA) მეშვეობით. ფინანსური დახმარება მიმართული იყო ნაკლებად განვითარებულ რეგიონებში ინფრასტრუქტურისა და ფინანსური სერვისების გაუმჯობესებისათვის, რამაც ტურიზმი მთელი ქვეყნის მასშტაბით ხელმისაწვდომი და მდგრადი გახადა (European Investment Bank, 2021; IMF, 2022). ევროკავშირის მხარდაჭერა გადამწყვეტი აღმოჩნდა სერბეთის ფინანსური სისტემების ევროკავშირის სტანდარტებთან მორგებისათვის (European Commission, 2023).

დასკვნის სახით სერბეთმა მობილური გადახდის სისტემების გაფართოებით და ევროკავშირის

დაფინანსების გამოყენებით წარმატებით გადაჭრა ტურიზმის სექტორში არსებული ფინანსური ხელმისაწვდომობის პრობლემა და გააუმჯობესა ინფრასტრუქტურა (World Bank, 2021). მობილური გადახდის პლატფორმების გამოყენებამ, როგორცაა PayPal და MTS Money, უზრუნველყო ტრანზაქციის სიმარტივე ტურისტებისთვის და ბიზნესებისთვის, ხოლო ევროკავშირის მხარდაჭერამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა სოფლად ფინანსური სერვისებისა და ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციაში, რამაც ხელი შეუწყო ტურიზმის სექტორის მთლიან ზრდას და მდგრადობას (UNWTO, 2023; European Investment Bank, 2021).

ხორვატია

ხორვატიის რეგიონების ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობა ზღუდავდა კერძო სექტორის განვითარებას და ინფრასტრუქტურულ ინიციატივებს, რაც გავლენას ახდენდა როგორც ტურისტებზე, ასევე ადგილობრივ ბიზნესებზე (European Travel Commission, 2021; World Bank, 2022). ასევე, ტრადიციული საბანკო სერვისების შეზღუდულმა ხელმისაწვდომობამაც გაართულა ბიზნესის ეფექტური ფუნქციონირება და ტურისტებისთვის ფინანსური ტრანზაქციების მართვა, რითაც შეფერხდა ტურიზმის სექტორის მთლიანი ზრდა (OECD, 2022; UNWTO, 2023).

აღნიშნული გამოწვევები შემდეგი მიდგომებით გადაიჭრა:

1. ციფრული გადახდების სისტემის გაფართოება - ხორვატიამ ამ გამოწვევების აღმოსაფხვრელად დაწერა ციფრული გადახდის პლატფორმები, როგორცაა PayCek და Klarna. აღნიშნული პლატფორმები დაინერგა როგორც ტურისტებისთვის, ასევე ადგილობრივი ბიზნესისთვის (European Payments Initiative, 2022). ციფრული სისტემის განვითარება გადამწყვეტი აღმოჩნდა ტრადიციული საბანკო ინფრასტრუქტურის მქონე რეგიონებშიც, რაც საშუალებას აძლევს ბიზნესებს - შეუფერხებლად მიიღონ გადახდები, ასევე ტურისტებს - მეტი კომფორტით მართონ ფინანსები (Sigala et al., 2021; UNWTO, 2023).

2. ტურიზმის ინფრასტრუქტურის განვითარება - ევროკავშირის დაფინანსებით ხორვატიის მთავრობამ განახორციელა საჯარო ინფრასტრუქტურის მოდერნიზება, რამაც უზრუნველყო ამ რეგიონების ეკონომიკური ზრდა და მიმზიდველი გახადა რეგიონები ვიზიტორებისთვის და ინვესტორებისთვის (European Investment Bank, 2021; European Commission, 2022).

დასკვნის სახით, ხორვატიის ტურიზმის სექტორში, განსაკუთრებით ნაკლებად განვითარებულ არეალებში - ფინანსური ხელმისაწვდომობის კუთხით არსებული გამოწვევების საპასუხოდ, ქვეყანა ფოკუსირდა ციფრული გადახდის პლატფორმების გაფართოებაზე, როგორცაა PayCek და Klarna, რითაც ხელი შეუწყო ტრანზაქციების გამარტივებას (European Payments Initiative, 2022). გარდა ამისა, ხორვატიის მთავრობამ, ევროკავშირის ფონდების მხარდაჭერით, ინვესტიცია განახორციელა ტურისტული ინფრასტრუქტურის მოდერნიზებაში, მათ შორის ფინანსური სერვისების გასაუმჯობესებლად - რამაც უზრუნველყო სექტორის ეფექტურობა (European Travel Commission, 2022; UNWTO, 2023).

ფინანსურ რესურსებზე წვდომის გამარტივების საერთო მიდგომები ევროპაში

1. ევროკავშირის დაფინანსება და პროგრამები: ევროპის მასშტაბით, ტურისტული ინფრასტრუქტურისა და ფინანსური ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად - მრავალმა ქვეყანამ ეფექტურად გამოიყენა ევროკავშირის დაფინანსებისა და განვითარების პროგრამები. ევროკავშირის ფინანსურმა მხარდაჭერამ გადამწყვეტი როლი ითამაშა ინფრასტრუქტურის მოდერნიზებაში, რამაც, საშუალება მისცა ქვეყნებს გამხდარიყვნენ კონკურენტუნარიანი და მიმზიდველი ტურისტებისთვის (European Commission, 2021; UNWTO, 2023). დაფინანსების ინიციატივებმა ხელი შეუწყო ევროპაში ძლიერი ტურისტული სექტორის ჩამოყალიბებას (OECD, 2022; European Travel Commission, 2023).

2. ციფრული გადახდების ინტეგრაცია: ევროპის მასშტაბით მიმდინარეობს ციფრული გადახდისა და მობილური ბანკინგის სისტემების ინტეგრირება, რაც მნიშვნელოვნად აუმჯობესებს

ფინანსურ ხელმისაწვდომობას როგორც ტურისტებისთვის, ასევე ბიზნესისთვის (*Sigala et al., 2021; European Payments Initiative, 2022*). PayPal, Revolut და სხვა ციფრული გადახდის პლატფორმების მასიურმა დანერგვამ უზრუნველყო უწყვეტი ფინანსური ტრანზაქციების განხორციელების სიმარტივე, უსაფრთხოება და ეფექტურობა, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ევროკავშირის ციფრული ეკონომიკისათვის (*European Central Bank, 2023; UNWTO, 2023*). ციფრული გადახდის ინტეგრაციის აღნიშნული ფართომასშტაბიანი ბიძგი საშუალებას იძლევა, რომ ტურისტებმა მარტივად მართონ თავიანთი ფინანსები მოგზაურობის დროს, ხოლო ადგილობრივმა მენარმეებმა დანერგონ საერთაშორისო ვიზიტორებზე გათვლილი მოქნილი და ეფექტური გადახდის სისტემები (*OECD, 2022; European Commission, 2021*).

3. ინფრასტრუქტურის განვითარება: ინფრასტრუქტურაში ჩადებული ინვესტიციები ევროპის ტურიზმის სექტორში ფინანსური წვდომის თვალსაზრისით მთავარი ქვაკუთხედი აღმოჩნდა. აღნიშნული მოიცავდა საბანკო სერვისების გაფართოებას, როგორცაა ტურისტულ ზონებში დამატებითი ბანკომატების მონტაჟი და ფინანსური სამომსახურებლო ინფრასტრუქტურის განვითარება - ციფრული გადახდების სისტემით (*World Bank, 2022; European Investment Bank, 2021*). აღნიშნულით, არა მხოლოდ გააძლიერდა ტურისტების სერვისებზე წვდომა, არამედ გაძლიერდა ადგილობრივი ეკონომიკა, რაც საშუალებას აძლევს ტურისტულ ბიზნესს ეფექტურად იმუშაოს და მეტი ვიზიტორი მოიზიდოს (*European Travel Commission, 2021; UNWTO, 2023*).

დასკვნის სახით, მთელი ევროპის მასშტაბით ტურიზმის სექტორში ფინანსური ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების ზოგადი გადანყვეტილებები მოიცავდა ევროკავშირის დაფინანსებისა და განვითარების პროგრამებით სარგებლობას, ციფრული გადახდის სისტემების ინტეგრაციას და ინფრასტრუქტურაში ინვესტირებას (*OECD, 2022; European Commission, 2021*). ამ სტრატეგიებმა ერთობლივად გააძლიერა ტურისტებისა და ადგილობრივი მენარმეებისათვის ხელმისაწვდომი ფინანსური სერვისები, რამაც ხელი შეუწყო ტურისტული ინდუსტრიის ზრდას და მდგრადობას (*UNWTO, 2023; World Bank, 2022*).

სამომავლო პერსპექტივა და სტრატეგიული მიმართულებები: სამომავლოდ, ტურიზმის ინდუსტრია, სავარაუდოდ, მეტად აქტიურად გააგრძელებს ტურიზმის ინოვაციური მიდგომების დანერგვას, მათ შორის ფოკუსირებული იქნება პერსონალიზებული მოგზაურობის გამოცდილებაზე, რაც გულისხმობს ექსპერიმენტული ტურიზმის განვითარებას (*UNWTO, 2023; Sigala et al., 2021*). ფოკუსირება მოხდება ტექნოლოგიაზე, მდგრადობასა და მომხმარებელთა გაძლიერებულ გამოცდილებაზე, რაც სექტორის ტრანსფორმაციას განსაზღვრავს მომდევნო წლებში (*OECD, 2022; World Bank, 2022*).

თუმცა, მცირე მასშტაბის ქვეყნებისთვის ტურისტული კომპანიების ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობა და ციფრული სერვისების დანერგვა ერთ-ერთ ძირითად გამოწვევას წარმოადგენს. აღნიშნულის აღმოსაფხვრელად სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებული მიდგომები აქვთ, თუმცა კერძო სექტორისთვის ფინანსური მხარდაჭერისა და რესურსებზე ხელმისაწვდომობის ძირითად რესურს ქმნის საერთაშორისო დონორი ორგანიზაციებისა და ადგილობრივი მთავრობების ერთობლივი მიდგომები (*IMF, 2022; European Travel Commission, 2021*).

საერთაშორისო ორგანიზაციები, როგორცაა მსოფლიო ბანკი (WB) და საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF), თამაშობენ გადამწყვეტ როლს მცირე და განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში სექტორის ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობისათვის. მსოფლიო ბანკი უზრუნველყოფს ინსტრუმენტებსა და რესურსებს, რათა დაეხმაროს ქვეყნებს ტურიზმის მდგრად განვითარებაში, ხაზს უსვამს ეკონომიკურ დივერსიფიკაციას და ადგილობრივი თემების გაძლიერებას (*World Bank, 2022; UNWTO, 2023*). ანალოგიურად, საერთაშორისო სავალუტო ფონდი ქვეყნებს სთავაზობს რეკომენდაციებს ტურიზმის გამოყენების შესახებ ეკონომიკური აღდგენისა და მდგრადი განვითარების მიმართულებით (*IMF, 2022; OECD, 2022*). დონორი ორგანიზაციების პარალელურად, ზოგიერთი ქვეყანის მთავრობამ წარადგინა სხვადასხვა ტურიზმთან დაკავშირებული ფონდები, რომლებიც უზრუნველყოფენ მცირე და საშუალო ბიზნესის სტაბილიზაციას კაპიტა-

ლის მიწოდების გზით (*European Commission, 2021; World Bank, 2022*). მიუხედავად საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერისა, მცირე ბიზნესი ტურიზმის სექტორში ხშირად აწყდება გამოწვევებს ფინანსებზე წვდომის მიმართულებით აღქმული რისკებისა და სეზონური რყევებიდან გამომდინარე. აღნიშნული საკითხების გადასაჭრელად, ზოგიერთი საშუალებაა ფინანსური ტრანზაქციების ცენტრალიზაცია მცირე ბიზნესის საკრედიტო შეფასების პროცესის გასაუმჯობესებლად, რითაც იზრდება მცირე და საშუალო ბიზნესის შესაძლებლობა უზრუნველყონ სესხები და სხვა ფინანსური პროდუქტები. ეს მრავალფეროვანი მიდგომები ხაზს უსვამს მორგებული ფინანსური და პოლიტიკური ჩარჩოების მნიშვნელობას მცირე ქვეყნების უნიკალური საჭიროებების მხარდასაჭერად, რომლებიც მიზნად ისახავს განავითარონ თავიანთი ტურისტული სექტორები პოსტპანდემიურ სამყაროში. განვითარებადი ქვეყნების ფინანსური რესურსები ტურიზმის ინდუსტრიის მხარდასაჭერად, განსაკუთრებით მაღალ მხარჯველიანი ვიზიტორების მოსაზიდად, გაადვილებულია საერთაშორისო მხარდაჭერის, სამთავრობო ინიციატივებისა და სტრატეგიული ინვესტიციები ტურიზმის ინფრასტრუქტურაში (*European Commission, 2021; World Bank, 2022*).

კვლევის საფუძველზე მოპოვებული ინფორმაციის შეჯამების საფუძველზე, შესაძლებელია ითქვას, რომ ტურიზმის სექტორი უკვე ათწლეულებია, რაც გლობალური ეკონომიკის ერთ-ერთ ძირითად მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს, მნიშვნელოვნად აუმჯობესებს რა როგორც სოციალური, ასევე ეკონომიკური პროგრესის მაჩვენებლებს. პანდემიისგან გამომწვეული დროებითი შეფერხების მიუხედავად, სექტორმა პანდემიამდელ მაჩვენებლებთან სწრაფი აღდგენის უნარი და განსაკუთრებული მდგრადობა გამოავლინა (*Sigala et al., 2021; OECD, 2022*).

ქვეყნების დონეზე ტურიზმის ინდუსტრიის წარმატება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობაზე, რაც განსაკუთრებით მცირე და საშუალო ბიზნესებისთვის წარმოადგენს გამოწვევას. ევროპის სხვადასხვა ქვეყნის მაგალითებმა აჩვენა, რომ პრობლემის გადაჭრის ეფექტური გზა არის ციფრული გადახდის სისტემების ინტეგრაცია, საბანკო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და მიკროსაფინანსო პროგრამების დანერგვა.

სექტორის გრძელვადიანი განვითარება მოითხოვს ინოვაციური მიდგომებისა და ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრაციას, როგორიცაა უკონტაქტო სერვისები და ბლოკჩეინის ტექნოლოგიები. ამასთან, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ადგილობრივი ხელისუფლების მხარდაჭერა კრიტიკულად მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით იმ ქვეყნებისთვის, სადაც ტურიზმის ინდუსტრია განვითარების საწყის ეტაპზეა.

გამოყენებული ლიტერატურა /REFERENCES/:

4. European Commission. (2021). *EU Tourism Policy: Enhancing Europe's Tourism Competitiveness*. Retrieved from <https://ec.europa.eu>
5. European Travel Commission. (2021). *European Tourism: Trends and Prospects*. Retrieved from <https://etc-corporate.org>
6. European Travel Commission. (2023). *Quarterly Report on European Tourism Recovery*. Retrieved from <https://etc-corporate.org>
7. European Payments Initiative. (2022). *The Future of Digital Payments in Europe*. Retrieved from <https://www.europeanpaymentsinitiative.com>
8. OECD. (2022). *Tourism Trends and Policies 2022*. Organisation for Economic Co-operation and Development. Retrieved from <https://www.oecd.org>
9. UNWTO. (2023). *World Tourism Barometer and Statistical Annex, January 2023*. United Nations World Tourism Organization. Retrieved from <https://www.unwto.org>
10. World Bank. (2022). *Tourism for Development: A Strategic Approach*. Retrieved from <https://www.worldbank.org>
11. IMF. (2022). *Tourism and Economic Recovery: Recommendations for Developing Economies*. Inter-

national Monetary Fund. Retrieved from <https://www.imf.org>

12. Sigala, M., Gretzel, U., & Xiang, Z. (2021). *Advances in Digital Marketing and Tourism*. Springer.

13. European Central Bank. (2023). *Digital Payments: Trends and Opportunities in Europe*. Retrieved from <https://www.ecb.europa.eu>

14. European Investment Bank. (2021). *Financing Sustainable Tourism Infrastructure*. Retrieved from <https://www.eib.org>

15. OECD. (2022). *Digital Transformation in Tourism*. Organisation for Economic Co-operation and Development. Retrieved from <https://www.oecd.org>

ACCESS TO FINANCIAL RESOURCES FOR THE TOURISM SECTOR ACROSS THE EUROPEAN COUNTRIES

Zurab Garakanidze

PhD in Economics, Associated Professor
of D. Aghmashenebeli National Academy, Reserve Colonel;

Eka Gegeshidze

Professor, PhD in Economics, School of Business
and Administrative Studies, The University of Georgia;

Nino Maghradze

PhD Candidate, The University of Georgia.
nimaghradze@gmail.com

RESUME

For decades, tourism has been one of the fastest-growing sectors in the global economy, serving as a critical driver of social and economic progress. Although the COVID-19 pandemic caused temporary setbacks, the sector's recovery has highlighted its remarkable resilience and adaptability. In 2023, international tourism generated \$1.4 trillion in revenue, representing 93% of pre-pandemic levels, with even more encouraging forecasts for 2024.

Access to financial resources, particularly for small and medium-sized enterprises, continues to be a major challenge for the sustainable growth of the tourism industry. Drawing on a narrative review of the literature by desk research method, this article explores how several European countries have effectively tackled this issue through targeted digital and financial initiatives. Notable examples include the adoption of digital payment systems (such as PayPal, Klarna, and MobilPay), the improvement of banking infrastructure in tourist areas, and the introduction of microfinance programs. These efforts have been bolstered by substantial EU funding and support from international donor organizations.

Key Words: Tourism, Access to Financial Resources, International Visitors, European Countries, Digital Payment Systems.